ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

უფროსს ბ-ნ ,-გ.გიგაშვილს,

დამოუკიდებელ ექსპერტ გ. დეისაძის

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი



თბილისი

2018

1. შესავალი

ნაკვეთის მეპატრონის შპს „ახალი სკოლა“-ადმინისტრაციის მომართვის საფუძველზე, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მიწის ნაკვეთზე,- საკადასტრო კოდით: № 01.14.07.001.057; მისამართზე,-ქ.თბილისი, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი №35 ის მიმდებარედ არსებულ ნაკვეთზე მოზარდი მცენარეულობა. ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა.

კვლევა ჩატარდა მიმდინარე წლის 20 მაისს. მცენარეები შეფასებული იქნა ვიზუალურად; აიზომა; მოვახდინეთ მცენარეების ციფრული ფოტოფიქსაცია. ჩვენს მიერ შეფასდა და აიზომა მათი დიამეტრები ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე ხეებისათვის, ხოლო ბუჩქებისათვის პროექციული დაფარულობა (კვადრატულ მეტრებში); სიმაღლე, სიჯანსაღე (ვიზუალური ნიშნებით დაფიქსირდა მექანიკური დაზიანება და/ან დაავადებათა არსებობა). მცენარეების მდებარეობა, ნუმერაციით, დატანილი იქნა ტოპოგეგმაზე.



2. მიმოხილვა

ქვემოთ ცხრილის სახით მოგვყავს ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების ნუსხა და მათი მახასიათებლები:

ნომერი ტოპო-გეგმაზე	მცენარის ქართული სახელწოდება	მცენარის ლათინური სახელწოდება	სიმაღლე მ.-ში	დიამეტრი ნიადაგის ზედაპირიდან 1.10 სმ.-ზე	პროექციული დაფარულობა $м^2$	სიცოცხლისუნარიანობა /შენიშვნა	შენიშვნა	გადარგვის შესაძლებლობა +/-
1	აილანთი	Ailantus altissima	7	16	-	საღი		-
2	აილანთი	Ailantus altissima	6	18	-	საღი		-
3	აილანთების ჯგუფი	Ailantus altissima	2-4	3-6	-	საღი	ამონაყართა ჯგუფი. 8 ერთეული დაჯგუფება	+
4	იასამნები	Syringa vulgaris	4	-	20	საღი		+
5	ტყემალი	Prunus divaricata	2.5	5	-	საღი	-	+
6	აკაკი	Celtis caucasica	3.5	6	-	საღი	-	+
7	აილანთი	Ailantus altissima	4	3	-	საღი	-	+
8	ხეჭრელი	Rhamnus cathartica	3.5	8	6	საღი	-	+
9	შინდი	Cornus mas	0.8-1.2	0.5	1.2	საღი	3 ერთეული თვითნათესი	+
10	კუნელი	Crataegus kyrtostilla	0.4	-	0.1	საღი	თვითნათესი	+
11	მსხალი	Pyrus domestica	6	20	-	საღი	-	+
12	მსხალი	Pyrus domestica	2	3	-	საღი	-	+
13	ხეჭრელი	Rhamnus cathartica	2.2	5	-	საღი	-	+
14	ხურმა იაპონური	Diospyros kaki	8	23	-	საღი	-	+
15	ტყემალი	Prunus divaricata	6	25	-	ხმობადი (70% ხმელია)	აქვს ამონაყარი	–
16	ქლიავი	Prunus domestica	6	10	-	წვერხმელია	გასხვლას საჭიროებს	+
17	მსხალი	Pyrus domestica	6	23	-	ხმობადი (50% ხმელია)	-	-
18	ტყემალი	Prunus divaricata	7	12	-	ნაწილობრივ ხმელი (30%)	-	-

19	ტყემალი	Prunus divaricata	5	16	-	საღი	-	+
20	ტყემალი	Prunus divaricata	5	8	-	საღი	-	+
21	ქლიავი	Prunus domestica	2	2+3	-	საღი	-	+
22	ასკილი	Rosa canina	1.7	-	3	საღი	-	+
23	იასამანი	Syringa vulgaris	1.5-4	-	2	საღი	-	+
24	იასამანი	Syringa vulgaris	≤4	-	18	საღი	-	+
25	ასკილი	Rosa canina	2	-	5	საღი	-	+
26	კაკალი	Juglans regia	12	30	-	ხმობადი (70%ხმე ლია)	-	-
27	ხეჭრელი	Rhamnus cathartica	3	9	-	საღი	-	+
28	აკაკი	Celtis caucasica	3.5	5	-	საღი	-	+
29	ტყემალი	Prunus divaricata	3.5	5	-	საღი	-	+
30	ქლიავი	Prunus domestica	6	8	-	საღი	-	+
31	ქლიავი	Prunus domestica	7	15	-	ზეხმელი	მოსაჭრელია	-
32	ქლიავი	Prunus domestica	1.8	2	-	საღი	ამონაყარი	+
33	კუნელი	Crataegus kyrtostilla	1.2	-	0.4	საღი	-	+
34	ქლიავი	Prunus domestica	2	3	2.5	საღი	ამონაყარი	+
35	იასამანი	Syringa vulgaris	2	-	10	საღი	-	+
36	თეთრი თუთა	Morus alba	6	12	-	ხმობადი (50% ხმელი)	-	-
37	კუნელი	Crataegus kyrtostilla	4	8	7	საღი	-	+
38	ჭერამი	Prunus armeniaca	8	26	-	საღი	-	-
39	ძეძვი	Paliurus spina-christi	5	6	6	საღი	-	+
40	ასკილი	Rosa canina	2	-	5	საღი	-	+
41	ჭერამი	Prunus armeniaca	2	3	-	საღი	-	+
42	ტყემალი	Prunus divaricata	1-1.5	2-3	-	საღი	თვითნათესები	+
43	აკაკი	Celtis caucasica	1.6	3	-	საღი	-	+
44	ჭერამი	Prunus armeniaca	1.5	1.5	-	საღი	-	+
45	წითელი ტყემალი	Prunus cerasifera	2.5	4	-	საღი	–	+
46	ძეძვი	Paliurus spina-christi	0.3	-	0.5	საღი	ფესვის ამონაყარი	+
47	ხეტუხტი	Hibiscus syriacus	1	0.5	-	საღი	-	+
48	ჭერამი	Prunus armeniaca	4.5	10	-	საღი	-	+
49	ჭერამი	Prunus armeniaca	4	8	-	საღი	-	+
50	ქლიავი	Prunus domestica	2	1	-	საღი	-	+
51	ჭერამი	Prunus armeniaca	3.5	7	-	საღი	-	+

52	ჭერამი	Prunus armeniaca						
53	ჭერამი	Prunus armeniaca	3	9	-	საღი	-	+
54	ჭერამი	Prunus armeniaca	3	9	-	საღი	-	+
55	კანადური ნეკერჩხალი	Acer negundo	1.5	1	1	საღი	ამონაყარი	+
56	წითელი ტყემალი	Prunus cerasifera	2.5	6	-	საღი	-	+
57	ჭერამი	Prunus armeniaca	9	40	-	ზეხმელი	მოსაჭრელი	-
58	ჟასმინი	Jasminum fruticans	1	-	0.4	საღი	-	+

შესწავლილ ტერიტორიაზე დაგეგმილია სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა, რისთვისაც აუცილებელი ხდება ყველა არსებული მერქნიანი მცენარის მოცილება, რომელთა ლოკაცია შეუთავსებელია განსახორციელებელ პროექტთან.

მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი შენობა არ ფარავს სრულ ტერიტორიას, რთული რელიეფის გამო (ტერიტორიის ჩრდილო ნაწილი ღრმა და ძლიერ დამრეცი ხევია), საჭირო ხდება დამხმარე კონსტრუქციებისა და გამაგრებითი სამუშაოების გაწევა, რაც გამორიცხავს არსებული მერქნიანი მცენარეების არსებობას.

მოყვანილი ცხრილიდან, მცენარეთა დიდი ნაწილი ექვემდებარება გადარგვას, და მათი გადარგვა შესაძლებელია სკოლის განკარგულებაში არსებულ მწვანე ნარგავებით დაკავებულ ფართებზე.

ქვემოთ მოგვყავს იმ მერქნიან მცენარეთა ჩამონათვალი, წარმოდგენილი ცხრილის ნუმერაციის მიხედვით, რომელთა გადარგვაა რენტაბელური და რეკომენდირებული:

№№-4-დან 10-ის ჩათვლით;

№№12-13-14;

№№19-დან 25-ის ჩათვლით;

№№27-დან 30-ის ჩათვლით;

№№33-34-35-37-38-40-43-44-45-

№№47-დან 54-ის ჩათვლით;

№№56-58

3. დასკვნა-რეკომენდაცია

წარმოდგენილი ნაკვეთის მერქნიან მცენარეთა შეფასება, ასახავს მცენარეულობას, რომელიც განვითარებულია მდინარე ვერეს მარჯვენა, ციცაბო ფერდობის ხელოვნურად დატერასებულ და ძლიერ სახეცვლილ ლანდშაფტში. აქ აღწერილი მცენარეების სახეობები არ წარმოადგენენ რაიმე მნიშვნელობის საკონსერვაციო ღირებულებას, მათი ძირითადი ნაწილი ხე-ხილია (მათ შორის, ხილ-კურკოვანი კულტურები რომელთა მცირე (15) რაოდენობის მოჭრა არ საჭიროებს რაიმე იურიდიულ ნებართვას), ხოლო ნაწილი აგრესიული, ინვაზიური სახეობები (აილანთი და ძეძვი).

არსებბული მცენარეულობა მეორადი ხასიათისაა, რუდერალური და არასტრუქტურირებულია. მათი ზემოქმედების დადებითი მხარეა,- ეროზიის შემაკავებელი მნიშვნელობა, თუმცა ეს ფუნქციაც უმნიშვნელოა, რადგან ტერასის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირთან არსებული ძლიერ დამრეცი ფერდობის მცენარეულობა (ფრიგანოიდური ტიპის მცენარეულობის დაბალი სიხშირე-დაფარულობა და ნიადაგ-ქანობრივი აგებულება (ქვიშაქვების გამოქარვული და შლადი, არამდგრადი შრეები), ვერ ასტაბილურებს ფერდობს და იგი განიცდის საკმაოდ სწრაფ ეროზიას.

სამშენებლო პროექტით გათვალისწინებილი რკინაბეტონის კონსტრუქციები და გამაგრებითი სამუშაოები, მნიშვნელოვნად უკეთეს ზეგავლენას განაპირობებს ფერდობის ანტიეროზიული სტაბილიზაციისათვის, ხოლო სწორად გათვლილი გამწვანებითი სამუშაოები, მეტად ხანგრძლივ და მდგრად გამაგრებით ფუნქციას შეასრულებს, ბუნებრივად არასტაბილურ, მდინარის ფერდობებისათვის მახასიათებელ ლანდშაფტზე.

ზემოთმოყვანილი არგუმენტებისა და ფაქტიური მდგომარეობის ყველა მხარის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ უპრიანია გაიცეს არსებული მერქნიანი მცენარეულობისაგან ნაკვეთის განთავისუფლების ნებართვა, შესაბამისი,- რეკომენდირებული გადარგვითი სამუშაოებისა და მშენებლობის დამთავრებისშემდგომი გამწვანებითი სამუშაოების უზრუნველყოფის გარანტიით.

09.06.2018

გრიგოლი დეისაძე